სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

## დამდეგი 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა
## გაზეთ „ცნობის ფურცელზე"

ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ვინც ამ თავითვე გამოიწერს ერთის წლით, იმას ერთი თვე მუქთად დაეთმობა გაზეთი

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 17 დეკემბერს

ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა

ქართულ დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან ქ-ნ ნ. გაბუნია-ცაგარლის და ვლ. ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

# პირია მონასტერი

კომედია 3 მოქმ. გადმოქართ. თავ. დ. ერისთავის-მიერ.

II

მოქმედება შილლერის დრამიდამ

# ყაჩაღები

III

მესამე მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდამ

# ხანუმა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

---

ორშაბათს, 21 ქრისტიშობისთვეს

ტფილისის სობრანიაში

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ იქნება

სალიტერატურო და სამუსიკო

# საღამო

რომლის შემდეგ იქნება ცეკვა.

ბილეთები გაიყიდება კნ. ოლგა თ. ჭავჭავაძისას, საზოგადოების კანცელარიაში და „სობრანიის" შვეიცართან.

---

# Готовлю

въ землемѣрное и техническое училище, въ учит. институтъ и на вольноопредѣляющагося. Подъ Давидомъ (მთაწმინდა), 2-я Овражская, № 2. **Грязновъ.**

(4—3)

---

კავკასიაში

## ქართული წიგნებით

# ვაჭრობას

მთავრობის ნებადართვით ვხსნი ამ დღიდან, ამისთვის უმორჩილესად ვთხოვ ქართული წიგნების გამომცემლებს, თავიანთი გამოცემანი გამოგვიგზავნონ საკომისიოდ გასასყიდლად დაკლებით არა ნაკლებ 20%.

ადრესი: Владикавказъ. Ивану Семеновичу Месхіеву.

პატივისცემით ივანე მესხიევი

---

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

# ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

---

Докторъ медицины и хирургъ

# БЕНКЛЕВСКІЙ

Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (წ.)

---

სამკურნალო და ამბულატორია

# ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

---

# ახალი ამბავი

—

*** ჟორდანიას ახალი შრომა. ჩვენს ისტორიკოსს, ბ-ნს თ. ჟორდანიას, დაუწერია განმარტება „ქართლის ცხოვრების" მეორე ნაწილისა, რომელშიაც, როგორც ვიცით, ბევრი შეცდომები იყო დაბეჭდილი. ბ-ნი თ. ჟორდანია ამ თვის ახალ შრომას, როგორც გავიგეთ, მოკლე ხანში გამოსცემს ცალკე წიგნად.

*** † დავით ბესარიონის ძე ჭიჭინაძე. რუსეთის გაზეთებმა მოიტანეს სამწუხარო ამბავი. 10 დეკემბერს პეტერბურგში გარდაიცვალა „იურიდიული გაზეთის" გამომცემი დავით ბესარიონს ძე ჭიჭინაძე.

*** სალიტოგრაფიო ქვის საჯარო ვაჭრობით გაცემა. მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ წინადადება მისცა ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველს, საჯარო ვაჭრობით გაე[ც]ით სალიტოგრაფიო ქვის დამუშავება სახაზინო ტყეში დუშეთის სატყეო რაიონშიო. ვაჭრობა დაიწყება 2,000 მან.

*** საბებიო ინსტიტუტის დირექტორი. როგორც ისმის, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ასისტენტი მედიცინის დოქტორი ფიშერი დანიშნულია ოლგის საბებიო ინსტიტუტის დირექტორად.

*** რეალურ სასწავლებლის მოწაფეები. 13 დეკემბერს ტფილისის რეალურ სასწავლებლის წლიურ აქტზე წაკითხულ ანგარიშიდგან სჩანს, რომ ამ სასწავლებლის მოწაფეთა რიცხვი საანგარიშო წლის განმავლობაში 524-დან 655-მდე ასულა. წოდებათა მიხედვით მოწაფენი განაწილებულნი არიან ამ სახით: თავად-აზნაურობა და მოხელეთა შვილები—272, სასულიერო წოდებისანი—12, საპატიო მოქალაქეთა და 1-ლ გილდის ვაჭართა შვილები—33, ქალაქის სხვა წოდებისანი—205, სოფლის წოდებისანი—55, დაბალ მოხელეთა შვილები—35 და უცხოელნი—43. სარწმუნოების მიხედვით

მართლმადიდებელი 370, სომეხი გრიგორიანი—180, კათოლიკე—78, პროტესტანტი—32 რასკოლნიკი 5, მოსლემანი—15, ებრაელი—11 და სხვა გვარ-ტომისანი—72.

*** მიმოსვლის შეწყვეტა. თელავიდან იუწყებიან, რომ დიდი თოვლისა და ნამქერების გამო გომბორის უღელტეხილზე ტფილისისაკენ მიმოსვლა შეწყვეტილია. ტელეგრაფი 13 დეკემბერს აღარ მოქმედებდა.

*** უძრავ ქონებათა დაფასება. ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, მომავალ წლის 1-ლ იანვრიდან შემოღებულ იქმნეს უძრავ ქონებათა დაფასების ახალი წესი

*** მოწაფეთაგან ოსტატის წოდების მიღება. სახელოსნო სასწავლებელში კურს-დასრულებული 8 მოწაფე, მათი ნამუშავრის შემოწმების შემდეგ, ექსპერტებმა ოსტატის წოდების ღირსად იცნეს.

*** საქველმოქმედო საცეკვაო საღამო ქუთაისში. ამ თვის 26 ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების დარბაზში დანიშნულია სასკოლო შენობის ასაგებლად. ლაპარაკი არ უნდა, ქუთაისის საზოგადოება თანაუგრძნობს ამ სიმპატიურ მიზანს და მრავლად დაესწრება საღამოს.

*** საბავშვო სახლის კურთხევა. კვირას აკურთხეს ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების საბავშვო სახლი ავლაბარში. კურთხევას დაესწრნენ: საქრთველოს ექსარხოსი, მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი ფლაბიანე, გენ.-ადიუტანტის ე. ბ. შერემეტიევის ქვრივი, ტფილისის ქალაქის მოურავი, ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების წევრნი და სხ... დამსწრეთ იქვე შესწირეს სახლს 75 მან. და მ. ო. არამიანცმა 100 მან. შესაფერის დათვალიერების შემდეგ, რომელიც შესდგება 2 ოთახისაგან, ბავშვებს გაუმართეს პირველი სადილი. სულ ისადილა 65 ბავშვმა. მთლად თავშესაფარის ხარჯზე მიღებულ იქმნა 16 ბავშვი. რადგან ჯერ კიდევ სახლთან არ არის გამართული არც სკოლა, არც სახელოსნო, ბავშვებს გაგზავნიან საბჭოს სკოლებში.

*** ელექტრონის ტრამვაი ტფილისში. ტფილისში მოვიდა შვეიცარიელი ინჟინერ-გიდრავლიკი ბლანში, რომელიც მოიწვია ტფილისის ტრამვაის ბელგიის საზოგადოების დირექტორმა ბ. რომბმ თამამშევის წისქვილთან ელექტრონის სადგურის გამართვის პროექტისა და ხარჯთა-აღრიცხვის შესადგენად. ეს სადგური გაიმართება განზრახულ ელექტრონის ტრამვაისათვის

*** ქვაფენილების გაწმენდა თოვლისაგან. პოლიციის ბოქაულებს წინადადება მიუციათ სრულიად გასწმინდონ ქვაფენილები თოვლისაგან და ყინულისაგან და მოაყარონ ზედ ქვიშა ან ნახერხი. პოლიცმეისტერი სასტიკ სასჯელს უქადის იმ ბოქაულთ, რომელნიც ამ წინადადებას ბეჯითად არ აასრულებენ.

*** რკინის გზის მუშების არეულობა. გაზ. „კავკ.“-ში დაბეჭდილია: ამ დღეებში გამოცხადებულ იქმნა ახალი წესები ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოსა და დეპოში მოსამსახურე პირთა საყურადღებოდ. ამ განცხადებამ რკინის გზის მუშებში უკმაყოფილება გამოიწვია და გუშინწინ დეპოში და სახელოსნოში ამის გამო მუშებმა მუშაობა აღკვეთეს, არსებულ წესის ძალით დეპოსა და სახელოსნოში მომუშავე პირთ დათხოვნის დროს ეძლევათ შემწეობად თვის ჯამაგირი თვითეულ ნამსახურ წლისათვის: ეს წესი 1899 წლის 1-ლ იანვრიდან გაუქმებულ იქმნება. გარდა ამისა, აქამდე მოსამსახურე პირთ უფლება ჰქონდა მიეღოთ წლის განმავლობაში 6 უფასო სამგზავრო ბილეთი, ახალი წესით-კი მსახურთ მხოლოდ სამი უფასო ბილეთი უნდა მიეცათ წელიწადში. დასასრულ, დღემდე იმ მოსამსახურე პირთ, რომელნიც წლიურად 1000 მანათზე ნაკლებ ჯამაგირს იღებენ, მუქთად წამლობდნენ რკინის გზის ხარჯზე და წამლებსაც უფასოდ აძლევდნენ: ეს წესიც დღეს გაუუქმებიათ და მსახურთათვის გამოუცხადებიათ: თქვენის ხარჯით უწამლეთ თქვენს თავსა და წამლებიც საკუთარი საშუალებით შეიძინეთო. ყოველივე ამის გამო ოსტატებმა და მუშებმა გუშინ-წინ (14 დეკემბერს) შეაჩერეს მუშაობა და თუმცა ჟანდარმების და რკინის გზის მთავრობა, გზის უფროსი ბ. ველიჯნევის მეთაურობით ბევრს ეჩიჩინნენ მათ, მუშაობა განეგრძოთ, მაგრამ მუშებმა მათ ყურიც არ ათხოვეს. გარდა ამისა, გაფიცული მუშები აგდებდნენ ორთქლ-მავალებიდგან მაშინისტებს და არ უშვებდნენ მათ დეპოდან, რის გამო გუშინ წინ, დილიდან საღამოს 5 საათამდე, ვერც ერთი მატარებელი ვერ წავიდა, გარდა სამგზავრო მატარებლების, რომლებმაც გაიარეს იმის მეოხებით, რომ კავკასიის 1-ლ მსროლელმა ბატალიონმა გაფანტა მუშები რკინის გზის ლიანდაგიდგან. შემდეგ მოვიდნენ ტფილისის ვიცე-გუბერნატორი, ტფილისის პოლიცმეისტერი და გუბერნატორის საგანგებო მინდობილებათა მოხელე საქმის გამოსაძიებლად.

*** ქალაქის კინტოს ოინები. 4 დეკემბერს, წმ. ბარბარეს ეკკლესიაში, ნავთლუღში, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. სადაც დიდი ხალხი იკრიბება, ქალაქის კინტოების სადღესასწაულო დღეც იქ არის. ეხლა აი რა გასაოცარს ამბავს იტყობინებიან: წირვაზედ, სხვათა შორის, ერთი მანდილოსანიც იყო, რომელსაც თან ორი თუ სამი წლის ბავშვი ჰყვანდა. ქალმა წირვის გათავებას აღარ მოუცადა და შინისკენ დაბრუნდა. გზაში ბავშვი გაუჭირვეულდა და განიზრახა ეტლის დაჭერა. თითონ მოკლე გზით, საცალფეხო ბილიკზედ მიდიოდა; რამდენიც ეტლმა გამოიარა უძახა, მაგრამ სიშორის გამო ვერ გააგონა. ერთი სახლის მოსახვევში მივიდა, ბავშვი იქ გახვეული დასტოვა და თვითონ გაეჩქარა, რომ ეტლი დაეჭირა, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ ეტლი სხვას დაეჭირა. მობრუნდა, ბავშვი იქ აღარ დახვდა, ასტეხა ტირილი და თავში ცემა. ამ დროს მივიდა მასთან კინტო და უთხრა: მე დავინახე შენი ბავშვი, თათრებმა გაატარეს, თუ გასამრჯელოს მომცემ, დავეწევი და წავართმევო. ქალმა ამოიღო და უკანასკნელი ოთხი მანეთი გადასცა. კინტომ შეუხვია დედას თავისი პატარა ბავშვი და მოუყვანა. დედას გაეხარდა და უნდოდა კიდევ მიეცა ჯილდო კინტოსთვის, მაგრამ ქისა გამოცარიელებული აღმოუჩნდა. როცა კინტომ თავი იბრუნა და წავიდა, მაშინ მიხვდა საბრალო ქალი, რომ ეს ამბავი სულ კინტოს ოინი იყო და არა სხვისი ვისიმე.

*** **ქუთაისი.** გადამდები სენი. აქ არ მოიპოვება თითქმის ისეთი ოჯახი, რომ რაიმე გადამდები სენი არ მძვინვარებდეს. უფრო კი გავრცელებულია ყელ-ჭირვება. ეს ბავშვების მმუსრავი, დაუძინებელი მტერი და გამანადგურებელი. მეორე ადგილი უჭირავს ყვავილს. ჩვენდა საბედნიეროდ ამ უკანასკნელს იმდენი ვნება არ მოაქვს, როგორც პირველს. არა იშვიათია ახალი ავადმყოფობაც, ეს რაღაც „ინფულენცას“ მსგავსია. თუ ვინმე გახდა ავად ამ „ახლად მოვლინებულით“, იმისი მორჩენის იმედი ნულარ გექნებათ. თვით „ჯანაოზ“ ექიმი ვერას უშველის ამ გარემოებამ ხალხი ერთო დაშინა, არ იციან, რა ქნან, როგორ დაიხწიონ თავი ამ ავადმყოფობის წყლიწადს.

აქვე არ შემიძლია არ ვთქვა ორიოდე სიტყვა ზოგიერთ ექიმების ურიგო და გულქვა მოქმედებაზედ. ეს დალოცვილები ისე ექცევიან საიქიოს გამზადებულ ავადმყოფების მშობლებს, თითქოს აქ არაფერი იყოს, სალხინოთ და დროს გასატარებლათ იყვნენ მოწვეულნიო.

ვინმე ერთი.

*** **დ. სურამი.** უწეს-რიგობის ბუნაგი. არა ერთხელ ყოფილა მოხსენებული გაზეთებში სურამის მდგომარეობა, აქაური უსუფთაობა და უყურადღებობა. ყველაზედ საზარალო უსუფთაობის გარდა არის აქაური სამიკიტნოები, რომელნიც არიან ჩაწკიპულნი უმთავრეს ქუჩის ბოლოზედ, სადაც თვითონ სოფლის მამასახლისი სცხოვრობს. მოხსენებულს დუქნებში იპოვებიან ცუდათ მოყიალე ყმაწვილობა. ამ დუქნებში, როგორც გაზეთ „ცნობის ფურცლის“ №627-ში არის მოხსენებული ყოველდღე ერთი უბედურება ტრიალებს. დიდი ხანი არ არის რა ამ დუქნებიდგან დადევნებულმა ვაჟბატონმა საცოდავი ერთი იმერელი გაგლიჯა: წაართვა სამაჯური და ბეჭედი ქალისა. საცოდავი უცხო კაცის ცოდით ტირილი მოუვიდოდა კაცს ხან ვის მივარდებოდა და ხან ვის შიოხარით ვინ იყოვო. გაგლეჯის შემდეგ იმერელმა დაინახა ერთი ვერსის მანძილზედ ვიღაც უგზოუკვლოდ მიმავალი ხაშურისკენ კაცი დაედევნა ამას და როდესაც ამ ვაჟბატონმა შეამჩნია, რომ ამას მისდევენ, გაიქცა და როდესაც ხაშურში შევარდა იქ სურამელმა მიხეილ ბერიძემ დაინახა და მოინდომა დაჭერა, როგორც შენიშნული კაცისა (რამდენჯერმე ყოფილა საპყრობილეში), მაგრამ გაექცა. ეს ყოველისფერი აღმოაჩინეს ბერიძის შემწეობით, მაგრამ სასამართლომდინ არ მისულა.

ამავე დუქნებში ამ რამდენიმე დღის წინეთ ვიღაც უბილეთო ნიკალაი ელიაზოვმა და აქაურმა მცხოვრებმა ს. გიგოლოვმა ჩაიგდეს ჩხუბი, რომელ ჩხუბის დროს ელიაზოვმა ხანჯლით დასჭრა თავში კაცი, რომლის დაჭრაც მიიღო თავის თავზედ გიგოლოვმა, შეეცოდა ელიაზოვი. აქ გამარჯვებული ელიაზოვი დახვდა იმ ღამესვე სუდში მოსამსახურეს გზაზედ და მოინდომა იმის დაჩეხვაც, მაგრამ შემსწრე ვ. მაჭავარიანმა ააშორა ხიფათი ორთავე მხარეს.

— მალმომრეობა ქალზე. თავზედ ხელაღებულნი მრავალი დაწანწალობენ დ. სურამში და იპოვებიან ზემოთ მოხსენებულ დუქნებში, ვ

263

ამ დეკემბერს საათის ათზედ ამ დუქნებიდგან შეამჩნიეს ორმა მაწანწალა ვაჟბატონმა გიორგი სარახატუნოვმა და იასონ ჩიტაძემ გავლილი ქალი მატრონა ფილლერისი, რომელიც ფეხით მიდიოდა სურამიდგან ხაშურში, რადგან მატარებელმა გაასწრო და ეტლიც ველარ იშოვნა (სურამიდგან ხაშურამდინ სამი ვერსია). გასცდა თუ არა ეს ქალი სურამიდგან ნახევარ ვერსს, მოეწივნენ ეს ვაჟბატონები სტაცეს ქალს ხელი და მოინდომეს იქვე ახლო ვენახში გადაეთრიათ და შეურაცჰყოფა მიეყენებინათ. საბრალო ქალი გაუძალდა იქამდის, რომ მანამ არავინ არ წაადგა თავსა, ესე რომა თითქმის ეს ვაჟბატონები კიდევაც დალახა. ამის წივილ-კივილზედ მივარდა მგზავრი სურამელი მოხუცი დიმიტრი ქიმერიძე, მივარდა და დაუწყო წართმევა, მაგრამ ამ მოხუცებულს არ შეეპუვნენ ამაზედაც ხელი მიიღეს და მოინდომეს გაგდება, მაგრამ საჩქაროთ მუადგა ამ ადვილს მეეტლე გარადენსკი, რომლის შემწეობითაც ქიმერიძემ გააგდებინა ხელი-ვან ქალი. დამნაშავენი შეიპყრეს და გამომძიებელმა დაატიმრა.

აი რა სარგებლობა მოაქვს ზემოთ ხსენებულს დუქნებს სურამში მცხოვრებელ. ხალხისათვის. ძალიან კარგი იქნება ყურადღება მიექცეს ამ დუქნებს.

ხეუბნელი

**ს. ხაშმი.** ღვინის მოსავალი. ხაშმი კარგა მოზრდილი სოფელია. ხაშმი, როგორც თვითონ სახელი გვიჩვენებს, ყოფილა და არის საშინელი ციების ბუდე, მაგრამ შემოდგომაზე როცა ღვინო და არაყი ბევრი მოუვათ აქ, ციება ფეხს ველარ იკიდებს. წელს ხაშმში ღვინის მოსავალი გვარიანი იყო, მაგრამ ამას სამწუხარო შედეგიც მოჰყვა: დაეხარბენ ღვინოს და ყოველ დღე მთვრალები ჰყრიან. თალეშა, მარტიროზა და კირაკოზაკი ამ დროს დარბიან ფაცი-ფუცით სოფელში და ღვინოს ნახევარობით აცლიან გლეხს ხელიდგან; ამის გამო გაზაფხულამდე გლეხების მარანი ისე გამოიფხიკება, რომ შიგ ვერ იშოვნი ერთ წვეთ ღვინოს. ასე და ამ გვარათ ხაშმელებმა იციან წელიწადში ორი რთველი. ერთი, როგორც ყველას მოეხსენება, ყურძნის მოკრეფა გახლავთ მეორე-კი შემოდგომაზე ღვინის ყლურჭვა და ნახევარ ფასათ გასაღება. მათი აზრით ღვინო რომ დიდი ხანი ქვევრებში იდგეს, დასალევათ აღარ გამოდგება. მათი გულშემატკივარი თალეშა-კი გიორგობისთვეში დაიარეშობს აქ თავისი დიდი ლიპით, რომ რაც თიბათვეში დასთესა ის გიორგობისთვეში მოიმკოს. მაგრამ რასა სთესავს თალეშა? საქმე ის არის, რომ თიბათვეში ის წამლავს ხაშმის ვენახებს და აი ამ სამსახურისათვის ის გიორგობის თვეში ერთი-ორად იწყავს ღვინოს, ის ისქელებს და ისქელებს თავის ჯიბეს და ჩვენ კი ვრჩებით პირღია.

შ. კ—ძე.

**სოფ. ალი.** (ქართლი) შემოწირულება. ს. ალი წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამოუჩნდნენ ისეთი პირნი, რომლებმაც მას დიდი შემწეობა აღმოუჩინეს. განსაკუთრებით საყურადღებოა შიო დედაბრიშვილის შემოწირულება, რომლისაგანაც მოგვივიდა ოთხმოცი მანეთის საღირელი წიგნები, მშვენიერს ყდაში ჩისმული,—სახელდობრ: „მოამბე“ 1884—1898-ის წლებისა, „კრებული“ 1897—1898-ის წლისა, ილია ჭავჭავაძის, აკაკის და ყაზბეგის ყველა მოთხრობები, „ბნელო“, „რამდენიმე მოთხრობა“ ნინოშვილისა, „ცეცხლითა და მახვილითა“, „ამირან დარეჯანიანი,“ და სხვა წვრილმანი წიგნები 11 მან. და 35 კაპ. შიო დედაბრიშვილის ასეთმა შემოწირულებამ დიდათ ასიამოვნა ჩვენებურები, რომელნიც ჩვენთან ერთად, უღრმეს მადლობას უძლვნიან მას.

გამგე წიგნთ-საცავ სამკითხველოსი მღ. ი. მაჭარაშვილი.

# სამეცნიერო ცნობა

მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)

(შემდეგი *)

მსხალი (ქართული, იმერული, გურული), ტანზი (სომხური), არმუდ (თათრული), კარდო (ოსური), აცლა, ახა (აბხაზური), ამაიჩ (ლეკური), გრუშა სადოვაია (რუსული), პირუს კომმუნის (ლათინური). ოთხასზედ მეტი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ერჩევიან ერთი ერთმანერთს, ნაყოფის გემოვნებით, სიმსხოთი, დრო დამწიფებითი, ფოთლების, ყლორტების და მცენარის აგებულებითი. გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზედ, უყვარს გაშლილი ადგილი და ნოყიერი ნიადაგი, რამდენიც ნიადაგი ნოყიერი ექმნება, იმდენად მცენარე ღრმად მიწაში იდგამს თავის ფესვებს. ეს მცენარე ვაშლის ხეზედ მეტად საჭიროებს სინოტივეს, ამისათვის ცხელ ქვეყნებში ამას მეტი მორწყვა უნდება, ვიდრე ვაშლის ხეს. გარდა ამისა მსხალს ის თვისება აქვს, რომ ერთსა და იმავე ნიადაგზედ დარგული მცენარეები ერთნაირად ვერ უკმაყოფილდებიან ნიადაგის ღალას, ამითა სჩანს, რომ სხვა და სხვა ჯურის მსხალს, სხვა და სხვა ნიადაგი სდომნებია. ამისათვის მცენარეების დარგვის დროს მემამულემ არა დროს არ უნდა აურიოს ერთმანერთში სხვა და სხვა ჯურის მსხალი, ყველა ჯური ცალ-ცალკე უნდა დარგოს და შემდეგში ადევნოს თვალ-ყური. მცენარე ყვავის თეთრად თიბათვეში, მის ნაყოფით სარგებლობს ფუტკარი. როგორც გამძლე ხე, მის მასალას დიდი მოთხოვნილება აქვს სადურგლოში. ნაყოფით ამზადებენ: მურაბას, ჟელეს, კომპოტს, ღვინოს, ჰხდიან არაყს, ამზადებენ ძმარს და სხვა სასმელებს. ინახავენ მწნილათაც, მაგრამ გამხმარ ნაყოფს (ჩირს) უფრო მომეტებული მოთხოვნილება აქვს, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში და სამზღვარ გარეთ ქვეყნებშიაც.

ცოცხლობს თითქმის სამას წლამდისინ, მრავლდება: თესლით გაზაფხულობით და შემოდგომით, ხოლო ნამყენებით კი გაზაფხულობით და ზაფხულობით.

ხურმა (ქართული), ხუმბრა (იმერული, გურული), ხვირმა, ხომა (მეგრული), უვას (სომხური), ხურმა (თათრული), ხურმა (ლეკური), ახურმა (აბხაზური), ხურმა (რუსული), დიოსპიროს ლოტუს (ლათინური). ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, მაგრამ ყველაზედ საუკეთესო და თვალ საჩინო ჯიში, რომელსაც უწოდებენ სახელად (დიოსპირუს კაკი). ამ ხურმის ნაყოფი ყვითელ სანთლის ფერისაა, სიმსხოთი თითქმის შვათანა ვაშლის ოდენაა. ამისთანა მსხვილ ნაყოფის მიღებისათვის. მცენარეს ამყნობენ უბრალო ხურმაზედ. უბრალო ხურმა გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზედ, ხოლო თბილ ქვეყნებში, ცივ ადგილებისა ეშინიან და ნაყოფიც ვერ მოაქვს. მცენარეს ღერი, ტოტები და ყლორტები მუქ მოყვითლო ფერისაა, ყვავის ყვითელ წითლათ, იცის წვრილი ყვავილი. მცენარე ფუყია (хрупкое), რის გამო მეურნეობაში მას არა აქვს მოთხოვნილება. შემოუსვლელი ნაყოფი მუქ მოყვითალო ფერისაა, უგემურია, ჭამაში პირსა შაბამს, მაგრამ როდესაც შევა დამწიფებაში, მაშინ ნაყოფი შავდება, გემოც უტკბება, ამ ნაყოფს უფრო ეტანება მდაბიო ხალხი, ამისათვის მის ნაყოფს არა აქვს დიდი მოთხოვნილება ოჯახებში. ვისაც სურს მის ნაყოფით სარგებლობა, მაშინ მან უნდა გაამრავლოს (დიოსპირუს კაკი), რომლის ნაყოფსაც მიეცემა დიდი მოთხოვნილება. მრავლდება: თესლით, პატარ-პატარა ტოტებით, ბლარტებით, გაზაფხულობით და შემოდგომით, ხოლო ნამყენებით კი ზაფხულობით.

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 704.

# სამკურნალო ცნობა

ბუასილი და მისი წამლობა. ამ უკანასკნელს ხანებში მეტად გავრცელდა ბუასილით ავადმყოფობა; ისე კაცს არ შეხვდებით, რომ ბუასილს არ უჩიოდეს. საერთოთ ადამიანს ბუასილი ემლება უხეირო სმა-ჭამისაგან, დიდი ხნის დაჯდომილი მუშაობით მუცელში ყაბზობით, ხშირათ გულის, ფილტვების და ღვიძლის ავადმყოფობაც უშლის ბუასილს და ზოგს კიდევ ჩამომავლობითვე მოსდგამს. ბუასილი უჩნდება ადამიანს უკან ტანის პირდაპირ განიერ წელებში, რომლის ბოლოში კარგა მოზრდილი მეჭეჭები ამოსდის, ზოგი ბერძნული თხილის ოდენაა და ზოგი ცოტა მომცროც. ბუასილის მეჭეჭები ზოგი შიგ წელში ჩნდება და ზოგიც წელის ბოლოს. ამიტომაც ბუასილი ორგვარია: ხმელი და ნედლი ბუასილი. ხმელი ბუასილი უფრო საშიშია და ძალიან დიდ ტკივილსაც აგრძნობინებს ავადმყოფს, ყოველ გარეთ გასვლის დროს სისხლის მდინარობა მოსდის და მთელი დამეჭეჭებული წელი გარეთ გამოდის. იმისთანა დიდ ტკივილსა გრძნობს ბუასილით ავადმყოფი ადამიანი, რომ რაცა აგონდება მთელი ორი დღე ითმენს და გარეთ არ გადის. თუ ადამიანი სამკურნალო ზომებს არ იღებს და თავს მინებებულია, მით უფრო ემატება მეჭეჭები, ტანის ქავილი, სისხლის მდინარება და მთელი წელი გარეთ გამოსდის.

სისხლის მდინარობა ავადმყოფს იამება, რადგანაც შაშუპებული მეჭეჭები სკდებიან, რის გამო ცხრება და სტომაქი უმსუბუქდება; სისხლის მდინარობა საშიში არ არის. ბუასილით ავადმყოფ ადამიანზე დიდი მავნებელი ზედგავლენა აქვს, როგორათაც გარეგანს შეხედულებაზე, აგრეთვე მთელ სხეულზე და სულიერ ცხოვრებაზე პირისახის ელფერს უცვლის, რომელსაც „ბუასილის ფერს“ უწოდებენ. თავის ტკივილი მოსდის, ხშირად ემართება პოხონდრია და თუ მიანება თავი და არ უწამლა სრულიად იცლება ჯანიდან და სნეულების მსხვერპლი ხდება.

ამისთვის საჭიროა ადამიანმა თვალ-ყური ადევნოს იმ დღიდანვე, რამწამს შეამჩნიოს სტომაქში ან მეტის-მეტი ყაზბობა ან ფაღარათობა. მავნებელია დიდი ხნობით დაჯდომილი მეცადინეობა. საჭიროა ფიზიკური მოძრაობა სხეულისა, დღეში რამდენჯერმე სუფთა ჰაერზე გასეირნება, წყალში ბანაობა ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია ბუასილის წინააღმდეგ. როდესაც ძალიან იმატებს სხეულში ბუასილის მეჭეჭები, მაშინ აპერაციაა საჭირო, რომე-

ლიც სრულიად საშიში არ არის ადამიანის სიცოცხლისთვის.

ივ. კავთელი.

## ყურმოკრული საუბარი

—

ქმარი: ჩემო ნუგეშო ლიზიკო, ეს მესამეთ ვხედავ წვენში თმას.

ცოლი: აი მაგით გეტყობათ, რომ მამაკაცები ხართ! აქამდის მეუბნებოდი, რომ ისე გიყვარვარ, რომ მზათ ხარ მთლად შემჭამო, ახლა კი ერთი ბეწვიც, გეჯავრება ჩემი.

—

— მე შენ მიყვარხარ! დაადეთ ხელი ჩემს გულს, — ამოხვრით უთხრა ახალგაზდა აფიცერმა.

— ჰა?! რასა გრძნობ, — აღტაცებით ეკითხება ყმაწვილი კაცი ქალს.

— შენს ქისას, — უპასუხა ქალმა.

—

— რა კარგათ მოგიფიქრებია, როშენი ქმარი თეატრში გაგზავნე, მთელი საღამო ჩვენ ხელთ·არის.

— დღეს თამაშობენ „ოტელოს" და მე გავგზავნე ის სულელი, რომ სულელურ იჭვიანობას სადამდის შეუძლიან მიყვანა.

## ამორჩეული აზრები

—

კარგის ყურება კარგია, და ჭკვიანთან ცხოვრება ადვილია.

—

დროება დიდი მასწავლებელია.

## გამოსადეგი ცნობა

—

*** ახალი საჭმელი ცხენებისთვის. ცხენების რკინის გზის საზოგადოებამ ფრიად სასარგებლო საჭმელი გამოიგონა ცხენისათვის. ის საჭმელი შესდგება მარილის სიმჟავისა, ქატოსა და ხის ნახერხისაგან. ყველა ამას ურევენ ერთმანეთში რამოდენიმე ხნის შემდეგ დაიდუღებს და ამ დროს უნდა წამოყაროთ ჭურჭლიდგან და გააშროთ. შემდეგ უნდა განამოთ წყლითა და აჭამოთ ცხენებს. გერმანიელების აზრით თურმე ეს საჭმელი თივაზედაც, შვრიაზედაც და თითქმის ქერზედაც კი ნოყიერია. წიფლისა და ნაძვის ნახერხი — თურმე ყველაზე კარგია გადასარევათ და ძალიან ნოყიერიცაა თურმე.

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

როგორც გაზეთები იუწყებიან მსოფლიო გამოფენაზე 1900 წ. საფრანგეთის სამინისტრო დაესწრებიან და ათ მილიონ ნახევარზე მეტი ფრანკი დაიხარჯება. 6 მილიონი გადადებულია გამოფენის წლისთვის და დანარჩენი ფული განაწილებულია 1893—1899 წლებისთვის ორ მილიონ-ნახევარ ფრანკს სამინისტრო მარტო ხელოვნებასა და მიწად-მოქმედებას ახმარებს. უპირველეს ხარისხზეა დაყენებული კონცერტები, რომელშიაც შესრულებული იქნება ყველა ძველი და ახალი კომპოზიტორების ნაწარმოებნი, განურჩევლად ყველა ეროვნებისა, ამ საქმისთვის გადადებულია 320,000 ფრანკი. ახალშენთა სამინისტრომ გამოფენისთვის გადასდო 1.870,000 ფრ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სასულიერო მთავრობამ შესწირა 730,000 ფრანკი. კიდევ შემდეგმა სამინისტროებმა: საერო განათლებისამ — 544,000 ფრ., ფინანსთა — 239,000 ფრ., ალებ-მიცემობამ — 188,000 ფრ. იუსტიციისამ 48,000 ფრ. და ზღვათა სამინისტრომ — 40, 000 ფრანკი.


# განცხადებანი

ცნობილი ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ წვრილად გადახდით.

—

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

—

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

**ბ. მ. მირიმანიანისა**

Музыкальное дело

**Б. М. Мириманіана**

Тифлисъ, Дворцов. ул.

(54—50)

**კბილის ექიმი**

ალექსანდრე სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველდღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე

მიხეილის ქუჩა № 32

(30—24)

1899 г. Годъ третій

Открыта подписка на 1899 г. на

**Новый Журналъ Иностр. Литературы**

ИСКУССТВА и НАУКИ.

**Первое въ Россіи**

общедоступное иллюстрированное ежемѣсячное изданіе.

(Вдвое больше лучшихъ заграничныхъ иллюстрированныхъ ежемѣсячниковъ)

| 12 книгъ—4 большихъ тома. Болѣе 1,500 иллюстрацій на лучшей бумагѣ. | **1899** | На годъ 4 р Съ доставкой и перес. 5 р. На ½ года 2 р. 50 к Съ дост. и перес. 3 р. |
|---|---|---|

«Новый Журналъ Иностранной Литературы» поставилъ себѣ задачей въ возможно большемъ кругу русской читающей публики пробуждать и поддерживать интересъ къ тому, что можетъ доставлять интеллектуальное удовольствіе своей поучительностью и занимательностью въ области литературы, искусства и различныхъ отраслей знанія. Почерпая изъ такого богатаго источника только новое и выдающееся, оригинальное и характерное, «Новый Журналъ Иностранной Литературы» старается давать ясное и точное понятіе о результатахъ умственной дѣятельности и общественной жизни за границей, о томъ фондѣ міровой культуры, ея идей и стремленій, который долженъ быть предметомъ любознательности и вниманія для всѣхъ мыслящихъ и интеллигентныхъ людей.

съ этою цѣлью „Новый Журналъ Иностранной Литературы"

печатаетъ:

1) Избранныя сочиненія знаменитыхъ писателей и наилучшія изъ произведеній новѣйшей беллетристики.

2) Статьи, этюды и очерки о всевозможныхъ сюжетахъ, такъ или иначе касающихся современности или представляющихъ общій интересъ въ отношеніи литературномъ, художественномъ и научномъ. Большинство этихъ статей—вовсе не переводы, а излагаются примѣнительно къ потребностямъ русскаго читателя.

3) Всѣ статьи, по своему содержанію допускающія иллюстрированіе, сопровождаются **многочисленными художественно исполненными рисунками и автотипическими репродукціями.**

Всѣ болѣе или менѣе крупныя произведенія печатаются съ особой нумераціей страницъ и могутъ быть сохраняемы отдѣльными томами.

Помимо статей съ иллюстраціями современнаго интереса и занимательнаго содержанія, литературныхъ, научныхъ и художественныхъ, иллюстрированной заграничной хроники (на современныя темы; изъ прошлаго; литературныя художественныя и научныя новости; изъ артистическаго міра; изъ иностранной журналистики и мелочи), въ 1899 г. съ январской книги будутъ печататься

**Юмористическіе разсказы Уэллься**

(автора романа «Борьба міровъ», напечатаннаго въ „Новомъ **Журналѣ Иностранной Литературы** 1898 г.)

Неизданныя произведенія ДИККЕНСА.

Цвѣты, плоды и шипы или брачная жизнь, смерть и свадьба адвоката бѣдныхъ Зибенкейза.

Романъ **Жана Поля Рихтера.** (12—5)

Подписка на 1899 годъ

**РУССЬ 4** руб. въ годъ **съ пересылкой.**

ежедневная газета и еженедѣльный

**„Иллюстрированный Листокъ" 2** Рубля въ годъ съ пересылкой

Издаваясь при «Недѣлѣ», въ одномъ съ нею направленіи, и служа существеннымъ ея дополненіемъ, «Русь» въ то-же время представляетъ собою самостоятельный, полный ежедневный органъ, имѣющій цѣлью,—благодаря участію выдающихся литературныхъ силъ,—доставить интеллигентнымъ читателямъ при общедоступной подписной цѣнѣ вполнѣ литературную и серьезную газету.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„НЕДѢЛЯ"** | еженедѣльная общественно-политическая газеаа | **9** Руб. въ годъ съ перес. | Всѣ четыре изданія **15** р. въ годъ съ перес. |
| **„КНИЖКИ НЕДѢЛИ"** | ежемѣсячный литературный журналъ | | |

**Допускается широкая разсрочка**

*Подписка принимается:* въ С.-Петербургѣ, въ конторѣ редакціи «Недѣли» и «Руси», Литейный, 9.

Ближайшіе сотрудники: Я. В. Абрамовъ, проф. Н. П. Вагнеръ, П. П. Гнѣдичъ, прив.-доц. В. М. Грибовскій, В. Л. Дѣдловъ, М. Н. Мазаевъ, М. О. Меньшиковъ, П. Е. Накрохинъ, Владиміръ Соловьевъ, акад. И. И. Янжулъ и многіе другіе.

Редакторъ-издатель «Недѣли», издатель «Руси» *В. П. Гайдебуровъ.*

(12—3) Отвѣтственный редакторъ «Руси» *М. В. Головинскій.*